



ბრძანება:ბ14.14241786

თარიღი:26/06/2024

„მოწყვლადი სოციალური ჯგუფის ოჯახების მხარდაჭერა“ ქვეპროგრამის ფარგლებში „„შშმ პირთა მშობლების ფსიქოლოგიური დახმარების ღონისძიებასთან (80 პირი)“ დაკავშირებით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამის „სოციალური დაცვა“, ქვეპროგრამის „მოწყვლადი სოციალური ჯგუფის ოჯახების მხარდაჭერა“ ფარგლებში, „შშმ პირთა მშობლების ფსიქოლოგიური დახმარების ღონისძიების (80 პირი)“ განხორციელების მიზნით, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე.“ ქვეპუნქტის და „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 19 დეკემბრის №29 დადგენილების (ცვლილება: N24 დადგენილება, 31.05.2024წ.) შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. დამტკიცდეს:

ა) ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განცხადება - „მოწყვლადი სოციალური ჯგუფის ოჯახების მხარდაჭერა“ ქვეპროგრამის ფარგლებში, „შშმ პირთა მშობლების ფსიქოლოგიური დახმარების ღონისძიების (80 პირი)“ შესრულებაში მონაწილეობის მსურველ პირთათვის, თანახმად დანართი 1-სა.

ბ) „მოწყვლადი სოციალური ჯგუფის ოჯახების მხარდაჭერა“ ქვეპროგრამით გათვალისწინებული „შშმ პირთა მშობლების ფსიქოლოგიური დახმარების ღონისძიების (80 პირი)“ ფარგლებში ვაუჩერის გაცემისა და გამოყენების წესი, თანახმად დანართი 2-სა.

გ) მიმწოდებელ ორგანიზაციასთან გასაფორმებელი ხელშეკრულების პროექტი.

2. „მოწყვლადი სოციალური ჯგუფის ოჯახების მხარდაჭერა“ ქვეპროგრამით გათვალისწინებული „შშმ პირთა მშობლების ფსიქოლოგიური დახმარების

ღონისძიების (80 პირი)“ ფარგლებში გასაცემ ვაუჩერზე ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის სახელით ხელმოწერის უფლებამოსილება მიენიჭოს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსს.

3. „მოწყვლადი სოციალური ჯგუფის ოჯახების მხარდაჭერა“ ქვეპროგრამით გათვალისწინებული „შშმ პირთა მშობლების ფსიქოლოგიური დახმარების ღონისძიების (80 პირი)“ ფარგლებში სამედიცინო სერვისის მიმწოდებელ დაწესებულებასთან გასაფორმებელ ხელშეკრულებაზე ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის სახელით ხელმოწერის უფლებამოსილება მიენიჭოს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეს ლელა სურმანიძეს.

4. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურმა უზრუნველყოს „მოწყვლადი სოციალური ჯგუფის ოჯახების მხარდაჭერა“ ქვეპროგრამის ფარგლებში, „შშმ პირთა მშობლების ფსიქოლოგიური დახმარების ღონისძიების (80 პირი)“ ჩატარებასთან დაკავშირებით სამედიცინო სერვისის მიმწოდებელ ორგანიზაციასთან გაფორმებული ხელშეკრულების შენახვა, ხელშეკრულების მიმწოდებელი ორგანიზაციისათვის და ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურისადმი მიწოდება.

5. წინადადარე ბრძანება გამოქვეყნდეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ინტერნეტგვერდზე (www.batumi.ge).

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

7. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ლევან დავითაძე

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია-მერი
(მოვალეობის შემსრულებელი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი



ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის
განცხადება

**„მოწყვლადი სოციალური ჯგუფის ოჯახების მხარდაჭერა“ ქვეპროგრამის ფარგლებში,
„შშმ პირთა მშობლების ფსიქოლოგიური დახმარების ღონისძიების (80 პირი)“
შესრულებაში მონაწილეობის მსურველ პირთათვის**

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია (ქ. ბათუმი, ლ. ასათიანის ქ. №25) აცნობებს ყველა დაინტერესებულ პირს:

1. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებულია „მოწყვლადი სოციალური ჯგუფის ოჯახების მხარდაჭერა“ ქვეპროგრამის, „შშმ პირთა მშობლების ფსიქოლოგიური დახმარების ღონისძიება (80 პირი)“.

2. „მოწყვლადი სოციალური ჯგუფის ოჯახების მხარდაჭერა“ ქვეპროგრამა, „შშმ პირთა მშობლების ფსიქოლოგიური დახმარების ღონისძიება (80 პირი)“ გულისხმობს მოწყვლადი კატეგორიის ოჯახების მშობელთა ხელშეწყობას. შშმ პირთა მშობლების ფსიქოლოგიურ დახმარებას, ფსიქოგანათლების მიღებას, ცნობიერების ამაღლებასა და ყოველდღიური ყოფითი ცხოვრების გაიოლებას.

ქვეპროგრამა გათვალისწინებულია 80 ბენეფიციარზე ორ ეტაპად, რომლებსაც ჰყავთ 18 წლამდე ასაკის შშმ ბავშვები.

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია შშმ პირთა მშობლების ფსიქოლოგიური დახმარების პროგრამა, რომლის ფარგლებში სამი თვის (12 კვირა) მანძილზე განხორციელდება ინდივიდუალური გეგმის შემუშავება, ფსიქოთერაპია ინდივიდუალურად ან ჯგუფურად გარკვეული თერაპიების გამოყენებით საჭიროებიდან გამომდინარე. სრული კურსის ხანგრძლივობა შეადგენს 12 საათს (კვირაში ერთი აკადემიური საათი). ერთი სესიის ღირებულება არის 40 ლარი /ერთი საათი.

3. მომსახურების გაწევის ვადაა 2024 წლის ივლისიდან 2024 წლის 23 დეკემბრის ჩათვლით პერიოდი.

4. ქვეპროგრამის მოსარგებლეები არიან ქ. ბათუმში 2024 წლის 1 იანვრამდე რეგისტრირებული შშმ პირთა ოჯახები, რომელთაც ჰყავთ 18 წლამდე ასაკის შშმ პირი.

5. „მოწყვლადი სოციალური ჯგუფის ოჯახების მხარდაჭერა“ ქვეპროგრამის „შშმ პირთა მშობლების ფსიქოლოგიური დახმარების ღონისძიებაში (80 პირი)“ მონაწილეობის მსურველმა დაწესებულებებმა გთხოვთ, მოგვმართოთ მისამართზე: ქ. ბათუმი, ორბელიანის ქ. N10, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.

6. დაინტერესებულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი დოკუმენტები:

ა) წერილობითი განაცხადი „მოწყვლადი სოციალური ჯგუფის ოჯახების მხარდაჭერა“ ქვეპროგრამის „შშმ პირთა მშობლების ფსიქოლოგიური დახმარების ღონისძიება (80 პირი)“ განხორციელებაში მონაწილეობის მიღების სურვილის თაობაზე;

ბ) მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონის ნომერი, ფაქსი, საიდენტიფიკაციო კოდი, საბანკო რეკვიზიტები);

გ) პრეტენდენტს უნდა გააჩნდეს მუშაობის გამოცდილება არანაკლებ 2 (ორი) წელი;

დ) ბენეფიციარმა მომსახურება უნდა მიიღოს დღის ცენტრში.

„მოწყვლადი სოციალური ჯგუფის ოჯახების მხარდაჭერა“ ქვეპროგრამასთან დაკავშირებული ინფორმაცია განთავსებულია ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ვებ-გვერდზე www.batumi.ge.

დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ მისამართზე: ქ.ბათუმი, ორბელიანის ქ. №10, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური; ტელეფონი: (0244) 24-63-02; 577 30 26 59; მარინა რუხაძე.

**„მოწყვლადი სოციალური ჯგუფის ოჯახების მხარდაჭერა“ ქვეპროგრამით
გათვალისწინებული „შშმ პირთა მშობლების ფსიქოლოგიური დახმარების ღონისძიების
(80 პირი)“ ფარგლებში ვაუჩერის გაცემისა და გამოყენების წესი**

„მოწყვლადი სოციალური ჯგუფის ოჯახების მხარდაჭერა“ ქვეპროგრამით გათვალისწინებული შშმ პირთა მშობლების ფსიქოლოგიური დახმარების ღონისძიებაში ჩასართავად ბენეფიციარის წარმომადგენელი განცხადებით და თანმხლები დოკუმენტებით მიმართავს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას.

საჭირო დოკუმენტების ჩამონათვალი:

- განცხადება პროგრამაში ჩართვის შესახებ;
- ბენეფიციარისა და ბენეფიციარის მშობლის პირადობის მოწმობის ასლი;
- ბენეფიციარის შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის დამადასტურებელი ცნობის ასლი;
- ბენეფიციარის დაბადების მოწმობის ასლი;
- ამონაწერი სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზიდან (არსებობის შემთხვევაში).

ქვეპროგრამის ბენეფიციარის სრულყოფილი დოკუმენტაციის საფუძველზე გაიცემა ვაუჩერი.

ქვეპროგრამის მოსარგებლები არიან საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც რეგისტრირებული არიან ქ. ბათუმში, 2024 წლის 1 იანვრის მდგომარეობით.

ბენეფიციარმა დადგინილი წესით უნდა მიიღოს ვაუჩერი სამ თვეში (12 კვირა) ერთჯერადად.

ქვეპროგრამის ბენეფიციარს კურსი დაუფინანსდება ვაუჩერში მითითებული ფიქსირებული თანხით (40 ლარი - ერთი დღე). სრული კურსის თანხა შეადგენს 480 ლარს. დაფინანსება განხორციელდება ფაქტიურად განხორციელებული დღეების საფუძველზე.

ვაუჩერის გაცემა ხორციელდება ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის საქმისწარმოების განყოფილებიდან (მის: ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. N25) და ა(ა)იპ „მუნიციპალური სერვისების სააგენტო“-ს ადმინისტრაციული ერთეულების სერვისცენტრებიდან.

ხელშეკრულება

ქ. ბათუმი

_____ 2024 წელი

1. ხელშეკრულების მხარეები

ერთის მხრივ, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო (ტექსტში შემდგომ „შემსყიდველი“) წარმოდგენილი ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილის ლელა სურმანიძის სახით, მოქმედი ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 2024 წლის _____ N _____ ბრძანების საფუძველზე და მეორეს მხრივ, _____ (ტექსტში შემდგომ „მიმწოდებელი“), მისი დირექტორის _____ სახით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას (შემდგომში - ხელშეკრულება), რომლითაც განსაზღვრულია მხარეთა უფლებები და ვალდებულებები.

2. ხელშეკრულების სამართლებრივი საფუძვლები

2.1 ხელშეკრულების სამართლებრივ საფუძვლებს წარმოადგენს: საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 19 დეკემბრის №29 დადგენილებით (ცვლილება: N24 დადგენილება, 31.05.2024წ.) გათვალისწინებული პროგრამის „სოციალური უზრუნველყოფა“, ქვეპროგრამის „მოწყვლადი სოციალური ჯგუფის ოჯახების მხარდაჭერა“, ღონისძიება „შშმ პირთა მშობლების ფსიქოლოგიური დახმარების ღონისძიება (80 პირი)“; „მოწყვლადი სოციალური ჯგუფის ოჯახების მხარდაჭერა“ ქვეპროგრამის ფარგლებში „შშმ პირთა მშობლების ფსიქოლოგიური დახმარების ღონისძიებასთან (80 პირი)“ დაკავშირებით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 2024 წლის _____ ივნისის N _____ ბრძანება.

2.2 შეზღუდული შესაძლებლობის ბავშვების მდგომარეობის გაუმჯობესების ერთ-ერთი მთავარი საფუძველი მშობლების ფსიქო-ემოციური ჯანმრთელობაა ამ კატეგორიის ოჯახების მშობელთა ხელშეწყობის მიზნით, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამა „სოციალური უზრუნველყოფა“, ქვეპროგრამა „მოწყვლადი სოციალური ოჯახების მხარდაჭერა“, „შშმ პირთა მშობლების ფსიქოლოგიური დახმარების ღონისძიება“, რომლის ფარგლებში ქ. ბათუმში, 2024 წლის 01 იანვრის მდგომარეობით რეგისტრირებული, შშმ პირთა ოჯახები (ერთ-ერთი მშობელი), მიიღებენ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მომსახურებას.

3. ხელშეკრულების საგანი

3.1 წინამდებარე ხელშეკრულების საგანია შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ურთიერთობის მოწესრიგება.

შემსყიდველი:

მიმწოდებელი:

3.2 ამ ხელშეკრულების საფუძველზე მიმწოდებელი ახორციელებს წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული პირებისთვის (ბენეფიციარი) ვაუჩერის საფუძველზე მომსახურების გაწევას წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილი წესით.

4. ძირითადი დებულებები

4.1. მიმწოდებელი ვალდებულია, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამის „სოციალური უზრუნველყოფა“, „მოწყვლადი სოციალური ჯგუფის ოჯახების მხარდაჭერა“ ქვეპროგრამაში „შშმ პირთა მშობლების ფსიქოლოგიური დახმარება ღონისძიებაში ჩართულ ბენეფიციარებს, კერძოდ, შშმ პირთა მშობლებს (ერთი მშობელი) სამი თვის (12 კვირა) მანძილზე, ორ ეტაპად, 80 მშობელს (პირველ ეტაპზე 40 მშობელს) ,რომლებსაც ყავთ 18 წლამდე ასაკის შშმ პირი, ჩაუტარდეს ფსიქოლოგის შემდეგი მომსახურება; პირველადი კონსულტაცია, საჭიროებიდან გამომდინარე ინდივიდუალური გეგმის შემუშავება, ფსიქოთერაპია ინდივიდუალურად პირველ ეტაპზე ან ჯგუფურად გარკვეული თერაპიების გამოყენებით საჭიროებიდან გამომდინარე. სრული კურსის ხანგრძლივობა შეადგენს 12 საათს(საშუალოდ კვირაში ერთხელ ერთი აკადემიური საათი) .

4.2. შემსყიდველი უფლებამოსილია, ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით მიანიჭოს უფლებამოსილება ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის თანამშრომელს ან სხვა პირს, რომელიც ახორციელებს ზედამხედველობას მომსახურების მიწოდებაზე.

5. მომსახურების გაწევის ვადა და საფასური

5.1. მიმწოდებელი ვალდებულია, ბენეფიციარის საჭიროებიდან გამომდინარე, უზრუნველყოს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევა 2024 წლის ივლისიდან 2024 წლის 23 დეკემბრის ჩათვლით.

5.2. შემსყიდველი ბენეფიციარისთვის გაწეული მომსახურების სანაცვლოდ იხდის 40(ორმოცი) ლარს/ერთი საათი, სრული კურსი შეადგენს 12 საათს.

5.3. საფასურის ანაზღაურება ხორციელდება მიმწოდებლის მიერ ვაუჩერის წარმოდგენის საფუძველზე, 5.2 პუნქტით დადგენილი წესით.

6. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

6.1. შემსყიდველს უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლი მიმწოდებლის წინასწარ ინფორმირების შემდგომ და მოახდინოს ქვეპროგრამის ფარგლებში მიმწოდებლის მიერ ასანაზღაურებლად მოთხოვნილი თანხის სისწორის ინსპექტირება. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს/ინსპექტირებას და მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერას განახორციელებს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამსახურის სოციალური დაცვის პროგრამების მართვის განყოფილების უფროსი ირმა წილოსანი, ხოლო მისი არ ყოფნის (შვებულება, დროებითი შრომისუუნარობა და სხვა) შემთხვევაში - ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამსახურის სოციალური დაცვის პროგრამების მართვის განყოფილების მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ქეთევან იმნაძე.

6.2. ინსპექტირების შედეგებზე დგება აქტი, რომელსაც ხელს აწერენ შემსყიდველის და მიმწოდებლის უფლებამოსილი პირები.

შემსყიდველი:

მიმწოდებელი:

7. მიღება-ჩაბარების წესი

7.1. შესყიდვის ობიექტი ან მისი ნაწილი (ეტაპი) ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

7.2. მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისათვის შემსყიდველს მომსახურების შესრულებიდან არა უმეტეს 10 (ათი) სამუშაო დღისა უნდა წარედგინოს ანგარიშფაქტურა/ინვოისი.

7.3. წარმოდგენილი ინფორმაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება მიმწოდებელს.

7.4. შესყიდვის ობიექტის (მისი ნაწილის, ეტაპის) მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

8. ანგარიშსწორება

8.1. ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილ საბანკო ანგარიშზე, მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.

8.2. მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში შემსყიდველი ვალდებულია განახორციელოს შესაბამისი ანაზღაურება.

8.3. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება წინამდებარე ხელშეკრულების პირობებით.

9. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

9.1. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო, ყოველ ასეთ შემთხვევაზე 100 ლარის ოდენობით.

9.2. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9.3. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ფაქტობრივად გაწეული მომსახურების ღირებულების 5%-ის ოდენობით.

9.4. შემსყიდველი უფლებამოსილია წინამდებარე პუნქტით გათვალისწინებული პირგასამტეხლო გაუქვითოს მიმწოდებელს სახელშეკრულებო ანაზღაურება.

10. სხვა პირობები

10.1. ხელშეკრულების მხარეები ვალდებული არიან გაუფრთხილდნენ თითოეულის სახელს, საქმიან რეპუტაციას და ღირსებას.

10.2. მხარეები ვალდებული არიან დაიცვან ერთობლივი საქმიანობის შედეგად მათთვის ცნობილი მეორე მხარის კონფიდენციალური ინფორმაცია.

10.3. მხარეებს არა აქვთ უფლება გააკეთონ განცხადება მეორე მხარის მიერ ხელშეკრულების ვერ ან არ შესრულების, მისი შესრულებისას დარღვევების და ა.შ. თუ წინასწარ არ მოხდა შესაბამისი საკითხის ერთობლივი შესწავლა და შესაბამისად ფაქტების დადასტურება.

10.4. კონფიდენციალობის დარღვევად არ ჩაითვლება შემთხვევა, როდესაც ინფორმაციის გამჟღავნება წარმოადგენს კანონის ან კანონის საფუძველზე ხელისუფლების რომელიმე ორგანოს მიერ გამოცემული აქტის მოთხოვნას.

შემსყიდველი:

მიმწოდებელი:

10.5. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ორ ეგზემპლარად ქართულ ენაზე, რომელთაგან თითოეულს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება შემსყიდველთან და მიმწოდებელთან.

10.6. წინამდებარე ხელშეკრულების ყველა ცვლილება და დამატება ძალაშია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი შეტანილია წერილობითი სახით და ხელმოწერილია ორივე მხარის სრულფუნქციონირებელი წარმომადგენლის მიერ.

10.7. მიმწოდებელი ადასტურებს, რომ გაეცნო, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 2024 წლის _____ N _____ ბრძანებას, ეთანხმება ხელშეკრულების შინაარსს და სრული ნებაყოფლობის საფუძველზე ხელს აწერს წინამდებარე ხელშეკრულებას.

11. მხარეთა ხელმოწერები და რეკვიზიტები:

„შემსყიდველი“

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის
აღმასრულებელი ორგანო

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის
მერის მოადგილე ლელა სურმანიძე

/ _____ // _____ /
(ხელმოწერა) (სახელი, გვარი)

„მიმწოდებელი“

წარმომადგენელი:

/ _____ // _____ /
(ხელმოწერა) (სახელი, გვარი)